საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობა

ბადრი პატარაია

„სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

ევროპისმცოდეობის მიმართულება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ცერცვაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი

თბილისი

2018

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებშიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბადრი პატარაია

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველო ევროკავშირის ინტეგრაციის გზები. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, ვნახოთ ახდენს თუ არა გავლენას საქართველოს აქტიური ჩართულობა ევროპის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში (CSDP)[1] ინტეგრაციის პროცესზე 2013 წლიდან დღემდე. ნაშრომში გაანალიზებულია სხვადახვა სახის მასალა: წიგნები, აკადემიური ნაშრომები, სახელმწიფო დოკუმენტები, საგაზეთო სტატიები, რომლებიც ეხება საქართველო–ევროკავშირის ურთიერთობას, CSDP-ის სტრუქტურას და მუშაობას, ევროკავშირის მიზნებსა და ამოცანებს ევროპის აღმოსავლეთით. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიმოხილვას.

ნაშრომი მოიცავს: შესავალს, თემის აქტუალურობას და საკითხის პრობლემატიკას, რომელშიც საუბარია, საქართველოს პოლიტიკურ და უსაფრთხოების მდგომარეობაზე საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებიდან დღემდე. მეორე თავში განვიხილავთ ევროპის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს, შექმნის ისტორიას, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს, ევროკავშირის მისიებისა და ოპერაციების დაგეგმვას და შესრულებული ამოცანების მიმოხილვას. მესამე თავში განხილულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, რომელიც შეიცავს არსებული საფრთხების ანალიზს და პრევენციული მოქმედებების გატარებას. მეოთხე თავში მოცემული გვაქვს საქართველოს ჩართულობის მიმოხილვა ევროპის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში. დასკვნაში მოცემულია ყველა თავის ანალიზი, რომელიც სრულად პასუხობს ნაშრომში დასმულ შეკითხვებს.

[1] CSDP-ევროპის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა. ნაშრომის შემდგომ ტექსტში გამოყენებული იქნება აბრევიატურა CSDP.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს ქმნის შემდეგი ჰიპოთეზები 1. საქართველოს აქტიური ჩართულობა ევროპის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში, გავლენას ახდენს ევროკავშირში მისი ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებაზე. 2. საგარეო და უსაფრთხოების სფეროებში, საქართველო ევროკავშირის მჭიდრო თანამშრომლობამ შესაძლოა გააძლიეროს ინტეგრაცია ცალკეულ სფეროში. ყოველივე ეს კი ახსნილია ლიბერალური ინტერგოვერმენტალიზმისა და ნეოფუნქციონალიზმის თეორიებით, რაც საშუალებას გვაძლევთ ნათლად დავინახოთ ნაშრომში დასმული კითხვების პასუხები.

ნაშრომზე მუშაობისას წარმოჩინდა რომ, მიუხედავად იმისა რომ 2008 წლის შემდგომ საქართველო ევროკავშირი აქტიურად თანამშრომლობს. საგულისხმოა, რომ მცირეა ისეთი აკადემიური ლიტერატურა საქართველო–ევროკავშირის ურთიერთობის შესახებ, სადაც ყურადღება საგარეო და უსაფრთხოების საკითხებზეა გამახვილებული. ეს შეიძლება ჩაითვალოს ერთის მხრივ ჩვენი კვლევის გამოწვევად, მაგრამ მეორეს მხრივ აკადემიური კვლევის მიმართულებით არსებული სიცარიელის შევსების შესაძლებლობად.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი და საქართველო, საქართველო CSDP-ის მისიებში, საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში.

მადლობა

მსურს მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელთაც დახმარება გამიწიეს ნაშრომზე მუშაობისას, ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელ ირინა ცერცვაძეს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს.